



შრომის სამართლის სასამართლო და

მედიაციის იმიტირებული პროცესების წესები

1. შეჯიბრის ზოგადი ორგანიზაცია

- 1.1 შრომის სამართლის სასამართლო და მედიაციის იმიტირებული პროცესები („პროცესი“) ტარდება შემდეგ ეტაპებად: 1.ონლაინ-განაცხადების რეგისტრაცია, 2.სამართლებრივი დასკვნის შედგენა, 3.იმიტირებული სასამართლო პროცესი და 4.იმიტირებული მედიაციის პროცესი.
- 1.2 შეჯიბრი ტარდება ქართულ ენაზე, შესაბამისად მონაწილეების მიერ გამოგზავნილი ყველა სამართლებრივი დოკუმენტი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

2. მონაწილეობა და გუნდების შემადგენლობა

- 2.1 შეჯიბრში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც რეგისტრაციის მომენტისა და შეჯიბრის ჩატარების დროს არის საქართველოში არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში „დაწესებულება“) სამართლის სკოლის თუ იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-3-მე-4 ან მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი.
- 2.2 შეჯიბრში მონაწილე თითოეული გუნდი უნდა შედგებოდეს 3 ან 4 სტუდენტისგან. გუნდის წევრები არ შეიძლება იყვნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები ან/და სერთიფიცირებული მედიატორები. მონაწილე გუნდები უნდა დარეგისტრირდნენ შეჯიბრის ორგანიზატორების მიერ წინასწარ შემუშავებული წესების შესაბამისად, განსაზღვრულ ვადაში და დადგენილი სააპლიკაციო ფორმის გამოყენებით, რომელიც ქვეყნდება ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე.
- 2.3 რეგისტრაციის შემდგომ ეტაპზე ან უშუალოდ შეჯიბრის მინდინარეობისას გუნდის შემადგენლობაში რაიმე სახის ცვლილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა. მონაწილის ჩანაცვლების შემთხვევაში გუნდმა უნდა დაასაბუთოს, რომ ობიექტურად შეუძლებელია ერთ-ერთი მონაწილის/სტუდენტის მონაწილეობა.
- 2.4 გუნდების შემადგენლობის ფორმირება შეიძლება განხორციელდეს სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად ან უნივერსიტეტში არსებული შესაბამისი წესებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუ უნივერსიტეტს გააჩნია შიდა წესები, თავად სტუდენტები არიან პასუხისმგებელნი გაიარონ შიდა შესარჩევი ეტაპი.

3. გუნდების რეგისტრაცია და ანონიმურობა

- 3.1 გუნდების რეგისტრაცია ხორციელდება ონლაინ-განაცხადის შევსების საფუძველზე, რომლის ფორმა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე.
- 3.2 გუნდმა ონლაინ-განაცხადის შევსებისას უნდა წარმოადგინოს ოფიციალური საკონტაქტო პირი, რომელსაც შეჯიბრის მსვლელობისას მიეწოდება გუნდთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და შესაბამისი მასალები. საკონტაქტო პირისთვის ინფორმაციის მიწოდება ჩაითვლება გუნდისთვის ინფორმაციის მიწოდებად.
- 3.3 სარეგისტრაციო ინფორმაციაში ცვლილების შემთხვევაში გუნდი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს საორგანიზაციო ჯგუფს ცვლილების შესახებ. გუნდის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილება მიღებულად ითვლება საორგანიზაციო ჯგუფის მიერ დასტურის განხორციელების შემდეგ.
- 3.4 მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია ანონიმურია და დაცულია ნებისმიერი მესამე პირისთვის გამჟღავნებისგან. ანონიმურობის დაცვის მიზნით, რეგისტრაციისთანავე გუნდები მიიღებენ შეჯიბრში მონაწილეობის დამადასტურებელ ნომერს.
- 3.5 შეჯიბრის მიმდინარეობისას შემფასებლებისათვის არ ხდება იმ უნივერსიტეტის სახელწოდების გამჟღავნება, რომელსაც წარმოადგენს გუნდი. შემფასებლებს შეფასებისას მხოლოდ გუნდის ნომერი ეცნობებათ.

4. მომზადება და გუნდის მწვრთნელი

- 4.1 შეჯიბრისათვის საჭირო წერილობითი დოკუმენტებისა და ზეპირი მოსმენებისთვის მზადება ხორციელდება მხოლოდ გუნდის წევრების მიერ. დაუშვებელია აღნიშნულ პროცესში გარეშე პირების ჩართვა, გარდა გუნდის მწვრთნელისა.
 - 4.2 თითოეულ გუნდს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე მწვრთნელი, რომელიც გუნდს გაუწევს კონსულტაციას და მისცემს ზოგადი ხასიათის რჩევებს. მწვრთნელ(ებ)ის ვინაობა რეგისტრირდება განაცხადის გაკეთებისას.
 - 4.3 დაუშვებელია სხვა გუნდის წერილობითი სამართლებრივი დოკუმენტების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც გუნდებს გადაეცემათ მოწინააღმდეგე გუნდის დოკუმენტები ზეპირი მოსმენებისთვის მოსამზადებლად. აღნიშნული წესის დარღვევა გამოიწვევს მსაჯების/მოსამართლეების მიერ გუნდის დაჯარიმებას. საჯარიმო ქულების რაოდენობას, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, განსაზღვრავენ მსაჯები/მოსამართლეები.
- a. გუნდებს შეუძლიათ მოცემულ წესებთან დაკავშირებით ნებისმიერი კითხვა გაუგზავნონ პროექტის საორგანიზაციო ჯგუფს და მოითხოვონ მათგან წერილობითი ფორმით საქმის მასალებთან დაკავშირებული განმარტებები და შესწორებები. პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი შეიმუშავებს და ყველა მონაწილე

გუნდს მიაწვდის საქმის მასალებთან დაკავშირებულ განმარტებებს და შესწორებებს. ოფიციალურად გამოყენებული იქნება ელექტრონული მისამართი: labourmoot@newvision.ge.

5. სამართლებრივი დასკვნა

- 5.1 ონლაინ-განაცხადების რეგისტრაციის შემდგომ, განაცხადში მითითებულ მეილზე შეჯიბრში რეგისტრირებულ გუნდებს ეცნობებათ სამართლებრივი დასკვნის წერის მოსამზადებელი ტრენინგის თარიღის შესახებ და გაეგზავნებათ კაზუსი (შემდგომში „შეჯიბრის პრობლემა“). შეჯიბრში მონაწილე თითოეულმა გუნდმა შეჯიბრის პრობლემასთან დაკავშირებით უნდა მოამზადოს სამართლებრივი დასკვნა, რომელშიც გუნდებმა ცალ-ცალკე უნდა შეაფასონ და იმსჯელონ როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე მხარის ყველა შესაძლო მოთხოვნასა და მათ სამართლებრივ დასაბუთებაზე.
- 5.2 რეგისტრირებულმა გუნდებმა სამართლებრივი დასკვნა მითითებულ მეილზე უნდა გამოგზავნონ შესაბამისად გამოყოფილ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი არ დაიშვება მომდევნო ეტაპზე.
- 5.3 გუნდების მიერ შედგენილი სამართლებრივი დასკვნა უნდა შედგებოდეს შემდეგი მახასიათებლებისა და ნაწილებისგან:
- I. თავფურცელი;
 - II. გამოყენებული წყაროების ჩამონათვალი;
 - III. დავის არსის მოკლე შინაარსი;
 - IV. დავის ფაქტობრივი გარემოებები;
 - V. მხარეების (მოსარჩელე/მოპასუხე) ყველა შესაძლო მოთხოვნა და მათი სამართლებრივი საფუძვლების თანმიმდევრული ანალიზი
- 5.4 სამართლებრივი დასკვნა შედგენილ უნდა იქნეს: Microsoft Word (.doc/.docx file extension), ფონტის სახე და ზომა: Sylfaen, 11. სავალდებულოა ნებისმიერი ტექსტის ციტირებისას სქოლიოს გამოყენება.
- 5.5 დაუშვებელია სამართლებრივ დასკვნაში მითითებული იყოს გუნდის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, გარდა გუნდის რეგისტრაციის ნომრისა. ასეთი ინფორმაციის შემთხვევაში მოხდება გუნდის დაჯარიმება.
- 5.6 სამართლებრივი დასკვნის შეფასებისას ყურადღება მიექცევა გუნდის მიერ აკადემიური წერის სტანდარტების დაცვას, გამოყენებულ წყაროებს, ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკას. ასევე გუნდის მიერ შეჯიბრის პრობლემაში არსებული სამართლებრივი საკითხის ანალიზსა და არგუმენტაციას.

6. სესიის მიმდინარეობა

- 6.1 იმიტირებულ სასამართლო და მედიაციის პროცესებზე დაიშვებიან გუნდები, რომლებმაც შესაბამის ვადებში ჩააბრეს სამართლებრივი დასკვნა. თუკი გუნდების რაოდენობა, რომელთაც გამოგზავნეს სამართლებრივი დასკვნა აღემატება 12 (თორმეტი) გუნდს, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ

ის 12 გუნდი, რომლებმაც უმაღლესი შეფასება მიიღეს სამართლებრივი დასკვნის შედგენის ნაწილში.

6.2 თითოეული უნივერსიტეტიდან შეჯიბრის მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია მონაწილეობას იღებდეს არაუმეტეს 3 (სამი) გუნდი.

6.3 გუნდების გადანაწილება ჯგუფებში ხდება ფარული წილისყრის საფუძველზე, რომლის თარიღიც მონაწილეებს ეცნობებათ სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებულ მეილზე.

6.4 მხარეებად (მოსარჩელე/მოპასუხე) გადანაწილების შემდგომ, 5 დღის ვადაში მოსარჩელე მხარემ 4.6 პუნქტში მითითებულ მეილზე უნდა გამოაგზავნოს ელექტრონულად შევსებული სარჩელის ფორმა, რომელიც გადაეგზავნება შესაბამის მოპასუხე მხარეს. მოპასუხემ კი, 5 დღის ვადაში უნდა გადმოაგზავნოს შესაგებელი. სარჩელი და შესაგებელი დგება საპროცესო მიზნებისთვის და დამოუკიდებლად არ ფასდება.

6.5 იმიტირებული სასამართლო პროცესები ტარდება შემდეგი წესის მიხედვით:

- I. მოსამართლე შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, საქმესთან დაკავშირებით წარმოადგინონ ძირითადი ახსნა-განმარტებები. ჯერ წარსდგება მოსარჩელე მხარე თავისი პოზიციით და შემდეგ მოპასუხე. თითოეულ მხარეს ახსნა-განმარტების წარდგენისთვის განესაზღვრება 10-10 წუთი.
- II. მხარეთა შეკითხვები, ჯერ სარჩელის ავტორის და შემდეგ მოპასუხის. მოსამართლეებს/მსაჯებს შეუძლიათ შეაწყვეტინონ მხარეს გამოსვლა და დაუსვან შეკითხვები. შეკითხვების ეტაპზე მხარეებისთვის განსაზღვრული დრო არ აღემატება 10 წუთს.
- III. ამის შემდგომ მხარეები წარადგენენ საპაექრო სიტყვას, რომლის წარდგენისთვისაც თითოეულ გუნდს განესაზღვრება არაუმეტეს 15-15 წუთისა.

6.6 იმიტირებული მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ხდება შეჯიბრის პრობლემის სიმულაცია, სადაც თითოეული გუნდიდან წარდგენილი იქნება ერთი თანამედიატორი, ხოლო გუნდის დანარჩენი წევრები გადანაწილებული იქნებიან მხარეებად (მოსარჩელე/მოპასუხე და მისი წარმომადგენელი). შეფასებისას ცალ-ცალკე შეფასდება გუნდის თითოეული წევრის უნარ-ჩვევები. მოსარჩელე/მოპასუხის შერჩევა მოხდება სასამართლო პროცესში გუნდის პოზიციის გაცვლის შედეგად.

6.7 თითოეული იმიტირებული პროცესი გრძელდება 90 წუთი. აქედან 60 წუთი ეთმობა უშუალოდ პროცესს, ხოლო დანარჩენი 30 წუთი მსაჯების მიერ გუნდების შეფასებას.

6.8 დროის მიმდინარეობას აკონტროლებენ მოსამართლეები/მსაჯები და აღნიშნულის თაობაზე უთითებენ მხარეებს.

6.9 თავმჯდომარეს შეუძლია მხარეს გამოუყოს მეტი დრო, მაგრამ არაუმეტეს 5 წუთისა. თუ მხარე სრულად არ იყენებს მისთვის გამოყოფილ დროს, დაუხარჯავი დრო დაემატება შემდგომი გამოსვლისას.

- 6.10 მხარეები შეზღუდულნი არიან შეჯიბრის პრობლემის ფარგლებით. დაუშვებელია მასზე რაიმე ფაქტების დამატება ან შეცვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება გუნდის დაჯარიმება.
- 6.11 ზეპირი მოსმენების მიმდინარეობისას დაუშვებელია ნებისმიერი სახის ელექტრონული მოწყობილობების ჩართულ მდგომარეობაში ყოფნა და მისი გამოყენება.
- 6.12 სასამართლო და მედიაციის იმიტირებულ პროცესებამდე, ჩატარდება მოსამზადებელი ტრენინგები სასამართლო და მედიაციის უნარ-ჩვევების შესახებ. ტრენინგების თარიღების შესახებ მონაწილეებს ეცნობებათ სამართლებრივი დასკვნის გადმოგზავნის შემდგომ, შეჯიბრის მომდევნო ეტაპზე გადასვლის შესახებ მეილთან ერთად.

7. შეჯიბრის მსაჯები/მოსამართლეები

- 7.1 მონაწილე გუნდებს სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას აფასებენ მსაჯები და მოსამართლეები, ხოლო მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას მხოლოდ მსაჯები. მსაჯების შერჩევა ხდება პრაქტიკოსი იურისტების, ადვოკატთა პროფესიული ექსპერტების შემადგენლობიდან.
- 7.2 მოსამართლე/მსაჯი ვალდებულია საორგანიზაციო ჯგუფს აცნობოს ნებისმიერი იმ გარემოების ან/და მონაწილე გუნდ(ებ)თან ისეთი კავშირის შესახებ, რამაც შესაძლოა ექვემდებარებოდეს დააყენოს მისი მიუკერძოებლობის საკითხი.
- 7.3 დაუშვებელია მსაჯმა/მოსამართლემ მონაწილეობა მიიღოს იმ ზეპირ გამოსვლებში, სადაც გამოდის გუნდი, რომლის წევრთანაც მას აქვს კავშირი და თუ კი ეს კავშირი ექვემდებარება დააყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოსამართლე ვალდებულია აცნობოს აღნიშნული კავშირის შესახებ პროექტის საორგანიზაციო ჯგუფს.
- 7.4 თუკი მონაწილე გუნდი მიიჩნევს, რომ ზეპირ გამოსვლაში მონაწილე მოსამართლე/მსაჯი აცილებული უნდა იქნას ამ მუხლის მიხედვით, მან უნდა აცნობოს ამის შესახებ საორგანიზაციო ჯგუფს ზეპირი გამოსვლის დაწყებამდე.
- 7.5 შეჯიბრის მოსამართლეები/მსაჯები დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას. შეფასების ქულები იწერება სპეციალურ შეფასების ფორმებზე, რომელსაც აჯამებენ ორგანიზატორები.
- 7.6 ცალკეული ეტაპის დასრულების შემდეგ მოსამართლეებს უფლება აქვთ, მისცენ გუნდებს შეჯიბრთან დაკავშირებული ისეთი რჩევები, რომელიც არ უკავშირდება საქმის შინაარსს და მიმართულია ძირითადად ზეპირი გამოსვლის უნარ-ჩვევებზე. რჩევის მიცემისას დაუშვებელია გამოვლენილი იქნეს გუნდის წევრებისათვის ზეპირი გამოსვლისათვის მინიჭებული ქულები ან/და შეფასება.

8. გუნდების შეფასება

- 8.1 შესარჩევი შეხვედრების ეტაპზე მსაჯების მიერ ცალ-ცალკე კომპონენტად შეფასდება გუნდების მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დასკვნა და

უშუალოდ იმიტირებული მედიაციის და სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, გუნდების ზეპირი გამოსვლები. თითოეული ეტაპის შეფასების კრიტერიუმები თანდართულია დანართი N1-ის სახით.

8.2 მსაჯების/მოსამართლეების მიერ შეჯიბრის თითოეული ეტაპის შეფასება ხდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. შეფასებების ერთიანობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია შეფასების ფორმა შესაბამისი კრიტერიუმებით, რომელიც წინასწარ მიეწოდებათ მსაჯებს/მოსამართლეებს.

8.3 შეფასებისას მსაჯების/მოსამართლეების მიერ სამართლებრივი დასაბუთების გარდა, ყურადღება მიექცევა გუნდების და მისი ცალკეული წევრების პრეზენტაბელურობას, მხარეთა უნარს გააბათილონ მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტები და გუნდურობას.

8.4 პროცესის შემდეგ, მოსამართლეები/მსაჯები პროექტის ყველა სხვა მონაწილისგან დამოუკიდებლად და განცალკევებულად აფასებენ თითოეული გუნდის მონაწილეობას შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად. შეფასებისთვის მსაჯებს/მოსამართლეებს განესაზღვრებათ 15 – 20 წუთი. შეფასების დასრულების შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტს გადაეცემა მსაჯების შეფასება, რის შემდეგაც მონაწილეები ბრუნდებიან პროცესის ოთახში.

8.5 თითოეული მოსამართლე/მსაჯი მაქმისმუმ 10 წუთის განმავლობაში გასცემს ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს და აფასებს გუნდების მონაწილეობას პროცესში. შეფასება უნდა შეესაბამებოდეს შეფასების კრიტერიუმებს, რომელიც გადაეცათ კონკურსის დაწყებამდე.

8.6 შეჯიბრის დასრულებისას მოხდება გუნდების დაჯილდოება, როგორც სამართლებრივი დასკვნის შედგენის, ასევე იმიტირებული სასამართლო და მედიაციის პროცესების ნაწილში. სპეციალური ნომინაციებისა და ჯილდოების შესახებ ცნობილი გახდება უშუალოდ გუნდების დაჯილდოების ცერემონიის მიმდინარეობისას.

დანართი N 1
შეფასების კრიტერიუმები

- 1. სამართლებრივი დასკვნის შეფასების კრიტერიუმები**
 - 1.1. სამართლებრივი დასკვნის სტრუქტურა;
 - 1.2. ამომწურავი და თანმიმდევრული მსჯელობა;
 - 1.3. წყაროების, ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის გამოყენება;
 - 1.4. ნორმატიული მასალის გამოყენება.

- 2. სასამართლო იმპირებული პროცესის შეფასების კრიტერიუმები**
 - 2.1 სასამართლო პრაქტიკისა და წყაროების ეფექტიანად გამოყენება;
 - 2.2 საწინააღმდეგო არგუმენტების გაბათილება;
 - 2.3 შეკითხვების ეფექტიანად დასმა;
 - 2.4 გუნდური მუშაობა;
 - 2.5 პრეზენტაბელურობა და დამაჯერებლობა;
 - 2.6 კლიენტის ინტერესების წარმოჩენა.

- 3. მედიაციის იმპირებული პროცესის შეფასების კრიტერიუმები**
 - 3.1 მედიატორისთვის:**
 - 3.1.1 მედიაციის პროცესის წარმართვა;
 - 3.1.2. აქტიური მოსმენის უნარის გამოყენება;
 - 3.1.3. ეფექტიანად შეკითხვების დასმა;
 - 3.1.4. მხარეთა ინტერესების გამოკვლევა;
 - 3.1.5. მედიატორის გახსნითი სიტყვა.
 - 3.2 მხარისთვის:**
 - 3.2.1 აქტიური მოსმენის უნარის გამოყენება;
 - 3.2.2 ეფექტიანად შეკითხვების დასმა;
 - 3.2.3 კლიენტის საუკეთესო ინტერესების წარმოჩენა;
 - 3.2.4 მეორე მხარის ინტერესების გამოკვლევა.